



კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

შემოქმედებითი საქართველო

კონკურსის წესი და პირობები

1 ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

ა) კონკურსის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მდგრადი განვითარება, შემოქმედებითი მეწარმეების გაძლიერება და ადგილობრივი, კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნისა და მისი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

ბ) კონკურსის პრიორიტეტია შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერებისთვის, ერთი მხრივ სექტორის ხელშეწყობი ინციატივებისა, მეორე მხრივ კი, თავად სექტორის წარმომადგენლების მხარდაჭერა.

გ) კონკურსი ითვალისწინებს:

- შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერებას (პრიორიტეტი I):
 - შემოქმედებითი ინდუსტრიების ვირტუალური და ფიზიკური პლატფორმების, კლასტერების შექმნა და განვითარება;
 - პროფესიული განვითარების და კომერციალიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების გამართვა;
 - კვლევითი საქმიანობა, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება და თარგმნა;
 - ინოვაციური სტრუქტურების და მოდელების შემუშავება და ამოქმედება.
- შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობას (პრიორიტეტი II):
 - პროტოტიპის შექმნა და საჭიროებისამებრ - ფაბლაბების, სახელოსნოების და სხვა ტიპის რესურსების გამოყენება და პროფესიული უნარების განვითარება.

დ) კონკურსი ფინანსდება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (კოდი - 32 09 02) ფარგლებში და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოქმედებითი საქართველო;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

ე) კონკურსის აბრივიატურაა CIDEV_2020;

ვ) კონკურსი ცხადდება შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - creativegeorgia.ge გამოქვეყნების გზით;

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;

გ) საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

დ) საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

3. პროექტით გათვალისწინებული თანხის მოცულობა

1. კონკურსის ფარგლებში, ერთი პროექტისთვის სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა 1. შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერების მიმართულებით შეადგენს მაქსიმუმ - 20 000 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით), ხოლო 2. შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობის მიმართულებით - 5000 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით). აღნიშნული თანხა არ უნდა ითვალისწინებდეს ძირითადი საშუალებების, ინფრასტრუქტურული მომსახურებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვას;

2. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე ორგანიზაცია/ფიზიკური პირი სხვადასხვა პროექტისათვის დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონკურსის ფარგლებში განმცხადებელზე გაცემული თანხის საერთო ოდენობა, შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერების მიმართულებით ჯამში არ აღემატება 20 000 ლარს, ხოლო შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობის მიმართულებით - 5000 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით).

4. კონკურსის პირობები

1. გამარჯვებული პროექტი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო დაფინანსება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების სახით მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პროექტებზე; საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

2. პრიორიტეტი მიენიჭება:

- პროექტებს რომლებსაც, მიმდინარე წელს, არ აქვთ მიღებული დაფინანსება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან;
- თუკი განაცხადს აკეთებთ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კონკურსის I ქვეპრიორიტეტზე - შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერება, პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს.

3. გამარჯვებული პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა ჩაირიცხება ორ ეტაპად: 80%-მდე ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ხოლო თანხის დარჩენილი 20%-ის ჩარიცხვა განხორციელდება, დაფინანსების მიმღების მიერ წარმოდგენილი პროექტის ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშის შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ. პროექტის ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშის წარმოდგენის თარიღი განისაზღვრება ინდივიდუალურად, ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

4. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ არ აანაზღაურებს: პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯს, ბიზნესკლასის ავიაბილეთს და მაღალი კლასის სასტუმროს ხარჯებს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება თანადაფინანსება).

5. პროექტის ფარგლებში სამგზავრო ხარჯების ანაზღაურებისას სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ ხელმძღვანელობს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანებით დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად;

6. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი თანხის სახელფასო ფონდი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის სართო ღირებულების 35 %-ს;

7. სსიპ „შემოქმედებით საქართველოს“ და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უფლება აქვთ შეზღუდვის გარეშე გამოიყენონ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

8. პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ფოტო, ვიდეო, ელექტრონულ, ნაბეჭდ პროდუქციაზე) სავალდებულოა განთავსდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ლოგო;

9. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს, საკონკურსო ვადებში, ყოველ სამშაბათ დღეს, 15:00 საათიდან 16:00 საათამდე, საკუთარ ოფისში, მისამართზე: ვ. დოლიძის ქუჩა, კორპუსი #28.

5. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები/აპლიკაციები ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის 10 თებერვლიდან - 10 მარტის ჩათვლით;

2. საკონკურსო განაცხადები/აპლიკაციები ნაბეჭდი ფორმით სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ კანცელარიაში მიიღება 2020 წლის 11 მარტს (მის: თბილისი, ვ.დოლიძის ქ N28 კორპუსი);

3. გამარჯვებულ პროექტებზე გადაწყვეტილებას იღებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია, საპროექტო განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

4. გამარჯვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

5. კონკურსის შედეგები ქვეყნდება სსიპ [შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - creativegeorgia.ge](http://creativegeorgia.ge), კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

6. ყველა პროექტი უნდა დასრულდეს და საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2020 წლის 1 დეკემბრისა.

6. კონკურსის ადმინისტრირება

1. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უზრუნველყოფს კონკურსის ადმინისტრირებას და წარმოდგენილი აპლიკაციების ტექნიკურ ზედამხედველობას, რაც მოიცავს:

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

ა) კონკურსის წესების და პირობების, აპლიკაციის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ბ) კონკურსის გამოცხადებას;

გ) კონკურსში შემოსული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას საკონკურსო პირობებთან;

დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;

ე) კომისიის სხდომის ჩატარების უზრუნველყოფას და კომისიის შეფასებებზე დაყრდნობით, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას;

ვ) ბენეფიციარებთან ხელშეკრულების გაფორმებას და მათ დაფინანსებას.

7. პროექტის შერჩევის/შეფასების კრიტერიუმები

1. კომისია საკონკურსო საკონკურსო განაცხადებს/აპლიკაციებს განიხილავს და აფასებს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
	პრიორიტეტი I - შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერება	
1	პროექტის საჭიროებათა ანალიზი - სექტორული, ბაზრის, ადგილმდებარეობის, რესურსების და სხვა საჭიროების მიხედვით.	15 ქულა
2	პროექტის სტრუქტურა - მეთოდოლოგია, ფუნქციები, შესრულების გეგმა და სხვა.	15 ქულა
3	ბიუჯეტი - ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან.	10 ქულა
4	პროექტის მდგრადობა და შედეგის ეფექტიანობა.	10 ქულა
5	ორგანიზაციის/პირის უნარი - - პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები	5 ქულა

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

6	რელევანტურობა - რამდენად პასუხობს პროექტი კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს.	10 ქულა
7	პროექტის მარკეტინგი - აუდიტორიის განვითარება, კომუნიკაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.	5 ქულა
სულ		70 ქულა
№	შეფასების კრიტერიუმი პრიორიტეტი II შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობა	ქულა
1	რელევანტურობა - რამდენად პასუხობს პროექტი კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს.	10 ქულა
2	ბიუჯეტი - ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან.	10 ქულა
3	პროექტის მდგრადობა და შედეგის ეფექტიანობა.	10 ქულა
4	ორგანიზაციის/პირის უნარი - პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები	5 ქულა
5	იდეის ინოვაციურობა - რამდენად ინოვაციურია წარმოდგენილი იდეა	10 ქულა
სულ		45 ქულა

8. განაცხადის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი ფორმით, საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად;
2. პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა ქვეყნდება შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - creativegeorgia.ge;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

3. საპროექტო განაცხადის ელექტრონული ფორმა და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე - competition@creativegeorgia.ge 2020 წლის 10 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით, თბილისის დროით 18:00 საათამდე. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკურსის აბრევიატურა: CIDEV-2020 (ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20MB-ს)

4. საპროექტი განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელექტრონულად გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე ელ.ფოსტიდან competition@creativegeorgia.ge, განმცხადებელი მიიღებს დასტურს, განაცხადის მიღების და მისი საკომისიო განხილვის ეტაპზე გადასვლის შესახებ.

5. განაცხადის ფორმალური გაუმართაობის შემთხვევაში სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას (არაუმეტეს 3 კალენდარული დღისა) ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზი გამოსწორებულად ითვლება აღნიშნულ ვადაში შესაბამისი დაზუსტებული განაცხადის/დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის მომენტიდან.

6. რეკომენდირებულია, განაცხადები წარმოდგენილ იქნას საკონკურსო ვადის ამოწურვამდე სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, რათა, ფორმალური გაუმართაობის ან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, არ შეიქმნას შეფერხება;

7. გარდა ელექტრონული ფორმისა, სსიპ „შემოქმედებით საქართველოში“ წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის ერთი ბეჭდური ვერსია, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში); საკონკურსო დოკუმენტაციის ბეჭდური ვერსიის წარმოდგენლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი ვერ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას;

8. საკონკურსო დოკუმენტაციის ბეჭდური ფორმით სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ კანცელარიაში წარმოდგენის თარიღია 2020 წლის 11 მარტი (18:00 საათამდე), მისამართი: თბილისი, ვ. დოლიძის ქ. N28 კორპუსი;

9. დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ყველა სავალდებულო დოკუმენტის ჩამონათვალი

1. შევსებული თანდართული განაცხადის ფორმა PDF ფორმატში;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

2. დანართი #1 - დეტალური ბიუჯეტი (Excel-ის, ასევე PDF ფორმატში) (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. დანართი #2 – პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრებისა და ხელოვანების რეზიუმეები/CV-ები ან/და პროფესიული ბიოგრაფიები/პორტფოლიოები;
4. დანართი #3 – თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობაზე (პარტნიორი ორგანიზაციის და ძირითადი მონაწილე ხელოვანების/კურატორების და ა.შ. არსებობის შემთხვევაში);
5. დანართი #4 - ფიზიკური პირის შემთხვევაში, პირადობის ასლი, განმცხადებელი ორგანიზაციის ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან <https://public.reestri.gov.ge/>. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობა (სსიპ შემოსავლების სამსახური);
6. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, დონორის მიერ გაცემული წერილი/დოკუმენტი თანადაფინანსების შესახებ;
7. განაცხადის განხილვის პროცესში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ იტოვებს დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის უფლებას;
8. კონკურსის ფარგლებში არსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ბენეფიციარი ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად წარმოადგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტური ანგარიში;
2. პროექტის მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და შინაარსობრივ მონიტორინგს:
 - ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტის ბიუჯეტთან;

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

ბ) შინაარსობრივი მონიტორინგი გულისხმობს დაფინანსების ხელშეკრულებით დაგეგმილი აქტივობების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

3. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება მხოლოდ დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების/ქვეპუნქტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების ფარგლებში გაუწერელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;

დ) ბენეფიციარი ვალდებულია ფინანსური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სსიპ „შემოქმედებით საქართველოს“ წარმოუდგინოს სრულყოფილად, მასთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

ე) ფინანსური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალს ამტკიცებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორი.

11. დაფინანსებულ პროექტში ცვლილებების განხორციელება

1. დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა ბენეფიციარის მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე.

2. სსიპ შემოქმედებითი საქართველოდან მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტის პუნქტებს შორის გადატანა შესაძლებელია მხოლოდ 10%-ის ოდენობით, წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3. ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით (შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც, ოფიციალურ ელ.ფოსტაზე info@creativegeorgia.ge) და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი ცვლილების საჭიროება.

კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

4. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია არასაპატიო დაგვიანებით.
5. დაფინანსებულ პროექტში ცვლილებების შესახებ ბენეფიციარის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ იღებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;
6. დაფინანსებულ პროექტში არსებითი ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეათანხმოს საკონკურსო კომისიასთან.

ამ კონკურსში პროექტის წარმოდგენით მონაწილე ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ წარმოდგენილი პროექტი მხოლოდ მათი ნამუშევარია. კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის ავტორების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

კონკურსთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებგვერდზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

საკონტაქტო ინფორმაცია

*კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ განაცხადზე დასტური არ მიიღეთ ერთ სამუშაო დღეში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ. ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე:
ngadilia@creativegeorgia.ge*